პროექტი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ _____

ქალაქი ქუთაისი _____ _____მარტი_____ 2026 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების,
არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის
,,იმერეთის დანიშნულების მართვის ორგანიზაციისათვის"
პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით,
სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
მერისათვის თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის „დ.დ" ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 09 იანვრის №65 დადგენილებისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის ------ მარტის №---------- მომართვის შესაბამისად:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,იმერეთის დანიშნულების მართვის ორგანიზაციისათვის" (საიდენტიფიკაციო კოდის №412722914) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ქუთაისში, რუსთაველის გამზირი №9ა-ში (არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ფართობით - 338.00 კვ.მ. საჯარო რეესტრის ამონაწერი №03.03.21.621) მდებარე უძრავი ქონების სარგებლობაში გაცემის თაობაზე.

მუხლი 2. ადგილობრივი ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, უძრავი ქონება გამოყენებული იქნას ტურისტული საგამოფენო ღონისძიებების, პლენერების, ფესტივალების ორგანიზებისათვის.

მუხლი 3. უსასყიდლო უზუფრუქტის ვადა განისაზღვროს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,იმერეთის დანიშნულების მართვის ორგანიზაციის" (საიდენტიფიკაციო ნომერი №412722914) არსებობის ვადით.

მუხლი 4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა უზრუნველყოს უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულების მომზადება და გაფორმება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებით.

მუხლი 5. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვიქტორ კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 7. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი: დავით ერემეიშვილი